

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



srca.gov.ge

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: აგრარული მეცნიერებების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების მეცნიერული მხარდაჭერა, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება, სელექციური პროცესების წარმართვა, ჯიშთა გამოცდა, საკოლექციო ნარგაობებისა და გენბანკის შექმნა, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა, თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება და განხორციელება, ყურძნის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე მეთოდების კვლევა-გავრცელება, მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ინტეგრირებული დაცვის სისტემების შემუშავება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სამანქანო ტექნოლოგიების სრულყოფა, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა, ბიომეთოდების შემუშავება, ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ექსტენციაში თანამონაწილეობა.

ინფრასტრუქტურა

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს სახელმწიფო საკუთრებაში და მმართველობის უფლებით გააჩნია კეთილმოწყობილი სასოფლო-სამეურნეო ბაზები, თანამედროვე ლაბორატორიები და საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთები:

- ერთწლოვანი (მარცვლოვანი, პარკოსანი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ტექნიკური) კულტურების საკვლევ-სადემონსტრაციო ბაზა;
- თესლის გენეტიკური ბანკი;
- სტანდარტების და სერტიფიცირების სამსახურის საგამოცდო ლაბორატორია;
- თესლის ხარისხის ლაბორატორია;
- მოლეკულური მარკირების ლაბორატორია (დნმ)ლაბორატორია;
- პროფ. ივანე სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია;
- მეაბრეშუმეობის სადგური;
- ბოსტნეული კულტურების და ჰიდროპონიკის სათბურები;
- მეცხოველეობის სანაშენე, სასელექციო-კვლევითი სადგური (სოფ. განთიადი, დმანისის მუნიციპალიტეტი);
- შინაური ცხოველებისა და ფრინველების საცდელ-სადემონსტრაციო საკვლევო ფერმა (კრწანისი);
- მეფუტკრეობის სანაშენე ბაზა (სოფ. მუხური, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი);
- სასელექციო, ჯიშთა გამოცდის სადემონსტრაციო ნაკვეთები საქართველოს 24 მუნიციპალიტეტში;

- შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათის დიაგნოსტიკის, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ცენტრი „ანასეული“ - (სოფ. ანასეული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).
- მევენახეობისა და ყურძნისეული პროდუქტების სამეცნიერო-კვლევითი სივრცე ჯიდაურას მრავალწლოვანი კულტურების საკვლევ-სადემონსტრაციო ბაზაზე, დასრულდა სივრცის სამშენებლო სამუშაოები; მიმდინარეობს ქართული ვაზის და ღვინის კულტურის ცენტრის, ლაბორატორიული, საკონფერენციო, საოფისე, სადეგუსტაციო სივრცეების, ასევე ვაზის და ღვინის სამუზეუმო კუთხის მოწყობა;

2024 წელს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში აგრარული სექტორის განვითარების მეცნიერული მხარდაჭერის, მცენარეთა და ცხოველთა აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, საქმიანობა ხორციელდებოდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:



ანასეული



მუხურის ბაზა



სარტიფიცირების ლაბორატორია



ნიადაგის ლაბორატორია



ჯიდაურა

მრავალფლოვანი კულტურების აგროტექნოლოგიების სრულყოფა-შემუშავება და გენოფონდის შენარჩუნება:

- საველე კოლექციებში დაცულია ხეხილის სხვადასხვა თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი, კენკროვანი და მშრალი სუბტროპიკული კულტურის (24 კულტურა) 495 ჯიში, ფორმა და ნიმუში;
- პერმანენტულად მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს ხეხილის ადგილობრივი გენოფონდის ჯიშების კოლექციის განახლება მოძიებული ჯიშებით, ფორმებით და ნიმუშებით;
- გრძელდება ხეხილის ახალი ჯიშების ინტროდუქცია და საკოლექციო ბაღების განახლება;
- საუკეთესო ფორმების შერჩევისა და მათი მეხილე-ფერმერებისთვის რეკომენდების მიზნით, განხორციელდა ხეხილის (ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ბროწეული, ლეღვი და სხვა) 70 ჯიშზე ფენოლოგიური დაკვირვებები;
- კვლევის პირველადი შედეგების საფუძველზე გამოიყო ამავე ჯიშებზე კვლევის დასრულების შემდეგ, წარმოებისათვის რეკომენდირებული ხეხილის შემდეგი ჯიშები: ვაშლი: ფორმა 4,12, მსხალი - ბერეჰარდილ კომში - ფორმა 4 და ეშმე, ბალი - სკინა, ქლიავი - ონიდა, ატამი - პლეინ დელიშესი, ვექს - 613; ნუში - ლორანე, პენტა, გარგარი - ალიპრიალა - კლონი 1; ესპანური ფორმა 1, ლეღვი - ბროჯიოტო;
- განხორციელდა ხეხილის (ვაშლი, ბალი) გასხვლა-ფორმირების პროგრესული მეთოდის (2 D, ბრტყელი ბალი, ხილის ფარდა) გამოყენების შესაძლებლობების კვლევა და ადგილობრივ პირობებთან მოდიფიკაციური მიდგომების შემუშავება სამრეწველო ჯიშებთან შეთავსებადობის ჭრილში.



მარცვლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება-კონსერვაცია, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია, ბიოჰიმიური და კომერციული მაჩვენებლების შესწავლა, ჯიშთა გამოცდა:

- მარცვლოვანი კულტურების მოძიების მიზნით, ექსპედიციები გრძელდება საქართველოს მასშტაბით; მარცვლოვანი კულტურების - ხორბალი, სიმინდი, ლობიო - მოძიების მიზნით, ექსპედიციები განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტში;
- საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების აღდგენის, პოპულარიზაციისა და გაცნობის მიზნით, მოეწყო თავთავიანი და ერთწლოვანი კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთები - ყაზბეგში (სნო), თუშეთში (ომალო, შენაქო), მესტიაში (ბეჩო), ცაგერში (ნასპერი), სადაც დათესილი იყო ხორბლის, ქერის და კარტოფილის ადგილობრივი ჯიშები.
- ადგილობრივი ფერმერების ცნობადობის და პრაქტიკული უნარების ამაღლების მიზნით, მარცვლოვანი კულტურების თესვისა და მოვლა-მოყვანის საკითხებზე, ჩატარდა ტრენინგი;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზებზე მოწეული ხორბლის ადგილობრივი ჯიშების სათესლე მასალა სახელმწიფომ უსასყიდლიდ გადასცა: ახმეტის, მესტიის, ცაგერის მუნიციპალიტეტების ფერმერულ მეურნეობებს გასავრცელებლად.
- გამორჩეული ფორმების შესწავლისა და გამრავლების მიზნით, საქართველოს განსხვავებულ აგროეკოლოგიური ზონის ცხრა მუნიციპალიტეტში განხორციელდა თავთავიანი კულტურების სამეურნეო და მორფოლოგიური მახასიათებლების შესწავლა; მიმდინარე წელს თავთავიანი კულტურების შესწავლა განხორციელდა სამ მუნიციპალიტეტში (მცხეთა, დედოფლისწყარო, ახალქალაქი).
- თავთავიანი კულტურებზე შესრულდა ორი სამაგისტრო თემა - აგრარული უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტების მიერ.
- ჩატარდა სიმინდის კულტურის წინასწარ შერჩეული ფორმების ხაზების სტერილიზაცია და ხელოვნური შეჯვარება; ხელოვნური ჰიბრიდიზაციით ქადალდის პარკებში) სელექციურ და შერჩევის სანერგეებში შეჯვარდა 2100-ზე მეტი ტარო, რომელთაგან მინდვრად წუნდების შემდეგ, გამოირჩა 1760 ტარო - 144 კგ.
- ფენოფაზების მიხედვით ჩატარდა ქერის სელექციური სანერგეების შესწავლა;
- გამოირჩა და შეფასდა ჩაწოლისადმი გამძლე ქერის ფორმები;
- განისაზღვრა ქერის სხვადასხვა ჯიშის ბიოსამეურნეო მაჩვენებლები;
- მიმდინარეობს ქერის კულტურის გენეტიკური მასალის შესწავლა აგრო-ბიოწარმოების მიმართულებით;
- მიღებულია:
 - მარცვლოვანი კულტურების მოსავალი მცხეთის, დედოფლისწყაროს, ახალქალაქის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზებზე თავთავიანი კულტურების გამრავლების და პირველადი მეთესლეობის სანერგეებიდან მიღებულია სულ მოსავალი 8220 კგ. აქედან, საბაზისო და პირველი რეპროდუქციის

სერტიფიცირებული სათესლე მასალა: ეროვნულ კატალოგში შესული ხორბლის ენდემური სახეობების (მახა, ჩელტა ზანდური, დიკა, კოლხური ასლი, გვაწა ზანდური) – 1134 კგ; ადგილობრივი ჯიშების (ახალციხის წითელი დოლის პური, შავფხა, ჯავახეთის დიკა, თეთრი იფქლი, კორბოულის დოლის პური, საული 9) - 3013 კგ.

- შემუშავდა სამთო პირობებში ხორბლისა და სიმინდის მოყვანის ტექნოლოგიური რუკები;
- განხორციელდა ფენოლოგიური დაკვირვებები საშემოდგომო ხორბლის ნათესში;

ახალი ჯიშის მიღების მიზნით, გრძელდება შესწავლა წინასწარი ჯიშთაგამოცდის სანერგეში საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეულ საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის 18, ქერის 6 და ტრიტიკალეს ერთ პერსპექტიულ ფორმაზე;

- 2023 წელს მიღებულ სერტიფიცირებულ მასალაზე განხორციელდა ხორბლის ნათესის საკონტროლო დანაყოფების გამოცდა;



ბოსტნული კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, შენახვა, გავრცელების ხელშეწყობა:

- გრძელდება ერთწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო სანერგეების შექმნა;
- მოძიებულ და აღდგენილ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო სანერგეებიდან ინტროდუცირებული ერთწლოვანი კულტურების გენეტიკური მასალა; განხორციელდა მათი გამრავლება, გაუმჯობესება და კონსერვაცია;
- დაკვირვებისა და შესწავლის მიზნით, დათესილ იქნა, მუხუდოს, ცერცველას, ცერცვის, ცულისპირასა და საგაზაფხულო პარკოსანი კულტურები;
- კვლევების ჩატარების მიზნით, ღია გრუნტში დაირგო კარტოფილი, ხახვისა და ნივრის ბოლქვები;
- ფენოლოგიურ ფაზებზე დაკვირვების მიზნით, კასეტებში საჩითილედ დაითესა ბოსტნული კულტურები, პომიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკის, კიტრის სასელექციო მასალა, ასევე კომბოსტოსნაირები, სელი და თამბაქო; შემდგომი მონიტორინგის ჩატარების მიზნით, კი მათი გადარგვა ღია გრუნტში განხორციელდა;
- ჩატარდა სატაცურის ფენოლოგიური აღრიცხვა;
- ბოსტნულის გამორჩეული ფორმებიდან აღებულ იქნა თესლი; მიღებული მასალა დამუშავდა ბიომეტრიულად;
- გასული 2023 წლიდან წილკნის ბაზაზე დაიწყო სალათის კულტურის მოყვანის საცდელი ეტაპი ჰიდროპონიკური ტექნოლოგიით აღჭურვილ სათბურში, რომელიც ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს „მაშავის“ მიერ დაფინანსებული პროექტის „სოფლის მეურნეობის სადემონსტრაციო ჰაბი ფარგლებში მოეწყო წილკნის სადემონსტრაციო ბაზაზე;
- ვეგეტაციის პერიოდში განხორციელდა ჰიდროპონიკურ აუზში გადატანილი სალათის მცენარეებზე დაკვირვება; კვლევები გრძელდება.
- დაითესა ლობიოს 187 ნიმუში;
- განხორციელდა ჯიშების აღწერა და მონაცემების შეტანა ტექნიკურ კითხვარებში.



თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარების მხარდაჭერა:

- მცენართა გენეტიკური რესურსების შეგროვების მიზნით, ექსპედიციები გრძელდებოდა სამცხე ჯავახეთში, გურიაში, იმერეთსა და სამეგრელოში;
- გრძელდება საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისი სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემის მხარდაჭერა;
- შეიქმნა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი ჯიშების გენეტიკური ბანკი;
- შექმნილია და შენარჩუნებულია ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების ex-situ და in-situ კოლექციები;
- 6 სანერგე მეურნეობის მდგომარეობის შემოწმების პროცესში, 5 სანერგე მეურნეობას მიეცა რეკომენდაცია დამატებით მასალების მოწოდების შესახებ, ხოლო 1 სანერგე მეურნეობას მიეცა დადებითი შეფასება;
- მდგომარეობის შესწავლის მიზნით, 8 სანერგე მეურნეობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;
- განხორციელდა 5 სათესლე მეურნეობის ნაკვეთების ინსპექტირება;
- ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების მიზნით, სარეალიზაციო თესლის პარტიებიდან 5 სათესლე მასალის მწარმოებელ კომპანიათა საწყობებიდან აღებულია ნიმუშები;
- გასული წლის სერტიფიცირებულ მასალაზე ჩატარდა საკონტროლო დანაყოფების გამოცდა (Post control).
- განხორციელდა წინა წელს გამრავლებული მასალებისა და ექსპედიციებში მოძიებული სიმინდისა და ლობიოს თესლის ნიმუშების დამუშავება და დათესვა, მონიტორინგი;
- გაიცა:
 - სარგავი მასალის - 21 სერტიფიკატი;
 - ხორბლის სათესლე მასალის პარტიებზე - 58 სერტიფიკატი;
 - სერტიფიცირებული ხორბლის სათესლე მასალამ შეადგინა - 1072,046 ტონა;
 - სერტიფიცირებული სარგავი მასალის რაოდენობამ შეადგინა - 197744 ცალი;
 - სერტიფიცირებული სათესლე ტომრების რაოდენობამ შეადგინა - 35050 ცალი;

- რეესტრს დაემატა 1 თესლისა და 7 სარგავი მასალის მწარმოებელი;
- გენბანკს დაემატა ლობიოს ერთი ნიმუში, ჯიში „ჯონჯოლა“;
- ჩატარდა 7 სანერგე მეურნეობის ინსპექტირება;
- მიმდინარე პერიოდში კატალოგს დაემატა ხორბლის 2 სელექციური ჯიში.
- ჩატარდა 5 სათესლე მეურნეობის ნაკვეთების ინსპექტირება;
- ჩატარდა 4 სამეცნიერო ექსპედიცია, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში;
- შეგროვდა სიმინდის, ხორბლისა და ლობიოს თესლის ნიმუშები, დამზადდა საინტერესო ფორმების ჰერბარიუმები.
გენეტიკური რესურსების ბანკში დაცული ნიმუშებია:
- ხორბალი - 155;
- სიმინდი-85;



მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების კვლევა:

- გრძელდება ვაზისა და თხილის ვირუსული, ბაქტერიული და ფიტოპლაზმური დაავადებების კვლევა, პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის (PCR) და იზოთერმული ამპლიფიკაციის (LAMP) თანამედროვე მეთოდებით;
- გრძელდება ღონისძიებები თხილისა და სხვა ხეხილოვანი კულტურების ძირითადი მავნებლების (აბიური ფაროსანას და სხვა) ბიოაგენტების ძიების მიზნით;
- სტატისტიკურად დამუშავდა აბიურ ფაროსანას იმაგოებში გამოვლენილი პათოგენები;
- საგარეჯოს (იორმულალო) მუნიციპალიტეტში ნაყოფის მწიფობის პერიოდში ჩატარდა ზეთისხილის ნარგავების ფიტოსანიტარული მონიტორინგი;
- კახეთისა და გურიის მუნიციპალიტეტებში განთავსებულ სადემონსტრაციო ნაკვეთებსა და პლანტაციებში განხორციელდა თხილისა და ხეხილოვანი კულტურების და მანდარინის ფიტოსანიტარული მონიტორინგი;
- გრძელდება თხილის 30 ნიმუშში ბაქტერიული სიდამწვრის და ბაქტერიული კიბოს კვლევა;
- 7 სახის ვირუსულ ინფექციაზე განხორციელდა მესხეთიდან ჩამოტანილი ვაზის 8 ჯიშის 130 სადედეს კვლევა;
- სოფ. დუბაგრამაში, ანასეულსა და სამტრედიაში გაშენებულ მისკანტუსის საცდელ მცენარეებში შესწავლილ იქნა მშრალი ნივთიერების დაგროვების, ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის ინტენსივობის ცვლილების დინამიკა;
- აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში მარშრუტული გამოკვლევების შედეგად, შემდგომი ანალიზის ჩატარების მიზნით, შეგროვდა თხილის ბაქტერიული დაავადებების და ვაზის ვირუსული და ფიტოპლაზმური დაავადებების სიმპტომებიანი ნიმუშები;
- განხორციელდა ვაზის 75 ნიმუშში მოლეკულური PCR მეთოდით ფიტოპლაზმური დაავადების ვაზის ოქროსფერი სიყვითლის (FD) და BN კვლევა, ასევე გამოკვლეულია თხილის 30 ნიმუში;

- ჩატარდა საქართველოს სანერგე მეურნეობებიდან შეგროვებული საანალიზო მასალის ლაბორატორიული კვლევა იმუნოფერმენტული ანალიზის (Das-ELISA) მეთოდით;
- განხორციელდა ზეთისხილის ნარგავების 5 ჰექტარის ოდენობით მონიტორინგი, შემდგომი ლაბორატორიული კვლევებისა და დაავადებებისადმი გამძლე ჯიშების გამოვლენის მიზნით, აღებულ იქნა ნიმუშები;
- ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა მავნებლებისა და დაავადებებისადმი გამძლე ქერის ფორმები;
- შემუშავდა მცენარეთა მავნებლების, დაავადებების და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემები;
- სოფლის განვითარების სააგენტოს, რეგიონებში გასავრცელებლად ფერმერებისთვის გადაეცა რედაქტირებული 20 სასოფლო-სამეურნეო კულტურის მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ფენოკალენდარული სქემა;
- განახლდა და სოფლის განვითარების სააგენტოს დასაბუჭდად გადაეცა ბროშურა: ვაზის მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.



ტყის იშვიათი სახეობების გენეტიკური რესურსების შესწავლა, აბროსატყეო კულტურების კვლევა და ბიოლანდშაფტების მოწყობა:

- საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლის მიზნით, ჩატარდა ჰართვისის მუხის, ძელქვის და ლაფნის ერთი ლოკაციის აღწერა და ინვენტარიზაცია; განხორციელდა მონაცემების ეტაპობრივი შეყვანა GIS პროგრამაში;
- აღებულია სატყეო სახეობების მასალა ჰერბარიუმისთვის;
- გამრავლდა გოჯი ბერის 10 მცენარე;
- დამზადებულია გოჯიბერის და თუთის ფოთლის ჩაი;
- თუთის ნარგაობები დაფორმირდა, მომზადდა საძირეები და ჩატარდა მცნობა;
- სრულად დამუშავდა საკვლევი მუხის სახეობების შესახებ ლიტერატურული წყაროები, ზოგადი ინფორმაცია, საჰერბარიუმო მასალები, დადგინდა ლოკაციები;
- დაითესა სამკურნალო მცენარე - კალენდულა, ხორციელდებოდა გოჯიბერის პლანტაციის მოვლითი ღონისძიებები;
- კოლხეთის ეროვნულ პარკსა და ბახმაროს დაცულ ტერიტორიებზე, ექსპედიციების შედეგად დაფიქსირდა ჰართვისის მუხის საინტერესო ლოკაციები;
- საუკეთესო ფორმების გამორჩევის, მათი შესწავლისა და გამრავლების მიზნით, დაირგო ამარანტის სხვადასხვა ჯიშის 40-მდე ნერგი;
- ტყის მერქნიანი სახეობების ცოცხალი კოლექცია შეადგენს 110 ძირს;
- ტყის სახეობების მუდმივი კოლექცია - 572 ძირს;
- ვერხვის პლანტაცია - 1460 ძირს;
- თუთის პლანტაცია - 20 ძირს;
- თუთის საკალმე პლანტაცია - 362 ძირს.



რისკის შეფასების შესაძლებლობების გაზრდა:

- მომზადდა საქართველოში მალაქიტის მწვანის, ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასების სამეცნიერო დასკვნა;
- პროფილურ მეცნიერთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საკვლევი რისკების შეფასებისთვის საჭირო მონაცემების ანალიზი, კლასიფიკაცია და კლასტერიზაცია;
- განხორციელდა საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასებისათვის არსებული მონაცემების მოძიება და ანალიზი;
- მომზადდა საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძისა და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების დოკუმენტის სამუშაო ვერსია;
- გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, განხორციელდა რისკის შეფასების სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე შემუშავებული რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციების განხილვა;
- საქართველოში მალაქიტის მწვანის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასების სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე მომზადდა რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციების სამუშაო ვერსია.

საქართველოს მიწის ფონდის შესწავლის და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება:

- გრძელდება:
 - საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა-ინვენტარიზაცია;
 - დეგრადირებული ნიადაგების გაუმჯობესების და ნაყოფიერების ამაღლების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება;
 - ამაღლების მიზნით, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეფასებულია ნიადაგის ნაყოფიერების დონე;
 - შემუშავებულია ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებები;
 - ზოგიერთი ნიადაგურ - კლიმატური პირობებისათვის ძირითადი ს/ს კულტურებისათვის მომზადდა რეკომენდაციები ნიადაგის განოყიერების სისტემების შესახებ;
- საქართველოს მასშტაბით მიმდინარე წელს:
 - გამოკვლეულია ნიადაგები 25 ათასი ჰა ს/ს დანიშნულების ფართობი ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ადიგენის, ნინოწმინდის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში;

- გამოკვლევული ფართობებისთვის შედგენილია ნიადაგის ძირითადი მახასიათებლების ამსახველი 5 ციფრული რუკა და შემუშავდა 200-ზე მეტი რეკომენდაცია საშემოდგომო მარცვლოვნების და ვაზის კულტურის ქვეშ ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების შესახებ;
- შესწავლილია ნიადაგის ნაყოფიერების მდგომარეობა და დეგრადაციის ხარისხი შერჩეულ ფართობებზე ბოლნისის, დედოფლისწყაროს, მარტვილის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში;
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე და სასათბურე პირობებში მიმდინარე ცდების ფარგლებში აღებული და გამოკვლევულია ნიადაგის მიზნით გამოიყიდა 4 ახალი ბიოპრეპარატი, ასევე განხორციელდა მცენარის 165 ნიმუში;
- მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა 20-მდე რეკომენდაცია;
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მონაცემების საფუძველზე განახლდა ნიადაგის ელექტრონული მონაცემთა ბაზა.

მცენარეული სასუქებისა და ბიოპრეპარატების კომპლექსური გამოყენების შესაძლებლობები კვლევის ფარგლებში:

- ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით გრძელდება ბიოაგროწარმოების ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
- შემუშავდა ბიოპრეპარატის გამოყენების სქემა ვაზისა და ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის (პომიდორი, გოგრა);
- ახალი ტექნოლოგიებისა და ბიოპრეპარატების გამოცდა-ადაპტაციის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები ბიომეურნეობებისათვის;
- ჯიჯილაყას ადგილობრივი ფორმების მოძიება-შესწავლის მიზნით განხორციელდა ექსპედიციები;
- ბიოპრეპარატების აქტივობის შესწავლის მიზნით, სვიის ნერგები დამუშავდა ბიოპრეპარატით - ბიოჰუსი;
- ბიოპრეპარატის გავლენის შესწავლის მიზნით, განხორციელდა მონიტორინგი და აღრიცხვები შერჩეული კულტურებისა და მათი მავნე ორგანიზმების (ნაცრის, სხვა სოკოვანი პათოგენების და ტკიპების) მზით დამწვრობის მიმართ გამძლეობაზე;
- საცდელ კულტურებში და მათთან შეთესილ არომატულ მცენარეთა ნარგავებში შეტანილია 10-მდე ბიოპრეპარატი; მიმდინარეობს დაკვირვება;

ქართული ვაზის გენოფონდის დაცვა, ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა და ენოლოგიური პოტენციალის შეფასება:

- ვაზის გენოფონდის შენარჩუნების მიზნით, გრძელდება საკოლექციო ნარგაობის გამდიდრება მოძიებული რესურსებით მათი აღდგენა-შენარჩუნება, რაც მათი გრძელვადიანი კონსერვაციის მიზნით ცოცხალი კოლექციების და გენბანკის შექმნას გულისხმობს;
- გრძელდება ქართული და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების OIV დესკრიპტორების მოთხოვნათა შესაბამისად აღწერა;
- ჩატარდა 14 ჯიშის ფოთლის მორფოლოგიური და 68 ჯიშის ყვავილის აღწერა, 14 ჯიშის მექანიკური და ქიმიური ანალიზი, 9 ჯიშის სადეგუსტაციო შეფასება;
- დამუშავდა ვაზის ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების 2023 წლის საკვლევი ნიმუშების კვლევის შედეგები და განახლდა მონაცემთა ბაზა;
- განხორციელდა ვაზის ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების სიჯანსაღის შეფასება და სიმწიფის მონიტორინგი;
- დრონის საშუალებით, ვენახის კონკრეტულ მონაკვეთზე განხორციელდა ვაზის წამლობა;
- დრონის საშუალებით განხორციელდა ვაზის შეწამვლა ჭრაქისა და ნაცრის საწინააღმდეგო ქიმიური ხსნარებით, და შესწავლილ იქნა ფოტოსინთეზის ინტენსივობა და ფლუორესცენციის პარამეტრები;
- ვაზის ჯიში ცოლიკოურის(ტვიშის) ნიადაგის ნიმუშები გაითესა მყარ საკვებ არეებზე და ჩატარდა ინკუბაცია 26 °C-ზე. მიკროფლორიდან ამოთესილ იქნა საფუარები, შემოწმდა მათი აქტიურობა;
- ჯილაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე მიღებულია 2500 ლიტრი დაწმენდილი და ლექიდან გადაღებული ღვინო;
- გაიფილტრა 62 ჯიშის ღვინის ნიმუშები, რომელმაც 1350 ლიტრი შეადგინა;
- საფუარის წმინდა კულტურის გამოყოფის მიზნით, ჩატარდა ადგილობრივი ალუბლის და ჟოლოს სპონტანური მიკროფლორის ნიმუშების დათესვა და პირველადი სელექცია;
- შესწავლილ იქნა ეტაპობრივი სელექციის საფუძველზე გადარჩეული ჟოლოს საფუარის 3 აქტიური შტამის დუდილის ტემპერატურული დიაპაზონი;

- გაიფილტრა და ჩამოსხა 50 ჯიშის ღვინის ნიმუში;
- მიმდინარეობს ბიოპრეპარატის გავლენის შესწავლა ვაზის მავნე ორგანიზმებზე;
- 5 %-იანი კაოლინით დამუშავებულ ვაზის ფოთლებში განისაზღვრა პიგმენტების, თავისუფალი წყლისა და მშრალი ნივთიერებების შემცველობა;
- დაკვირვების მიზნით, საცდელი ვაზები გარკვეული დროის ინტერვალით შეწამლულ იქნა ამერიკული, ბოლნისისა და მაკვანათის კაოლინის 5% ხსნარით;
- შესწავლილია ფლორესცენციის მახასიათებლები და განსაზღვრულია ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის მნიშვნელობები 5% კაოლინით შეწამლული და შეუწამლავი ვაზის ფოთლებში; ასევე ყურძნის სამეურნეო-ტექნოლოგიური და ამპელოგრაფიული მახასიათებლები; შეფასებულია მზის დამწვრობით გამოწვეული დაზიანება;



სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლა:

- კურკოვანი ხილის და სასუფრე ყურძნის ჯიშების შენახვის ვადის პროგნოზირების მათემატიკური მოდელის შემუშავების მიზნით, განხორციელდა კვლევები საკონტროლო ცვლადების განსაზღვრის საფუძველზე.
- საცდელ ნიმუშებში შესწავლილ იქნა რიგი ბიოქიმიური მაჩვენებლები, აღირიცხა დანაკარგები და აგროკლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით თითოეული ჯიში შეფასდა შენახვისუნარიანობის მიხედვით.
- საუკეთესი შენახვისუნარიანობის ხურმის ჯიშების გამოვლენის მიზნით, ხურმის მწკლარტე ჯიშებში (ხაჩია, როხო ბრილიანტე, კაკიტიპო) განისაზღვრა რიგი ბიოქიმიური მაჩვენებლები, ასევე განხორციელდა სიმწკლარტის მოშორების მეთოდების შემუშავება.
- ნივრის ჯიშებისა და ახალი ფორმების შენახვისუნარიანობის შესწავლის მიზნით, გაგრძელდა კვლევები;
- ყურძნის, როგორც ნედლეულის გამოყენების სპექტრის გაფართოებისა და მიღებული პროდუქტების ფუნქციონალური პოტენციალის შესწავლის მიზნით, მიღებულია და შემუშავებულია ახალი ტექნოლოგიები:
 - ალუბლის მურაბის უშაქრო ტექნოლოგია;
 - კაკლის მურაბის ტექნოლოგია სიახლის ელემენტებით - შაბით დამუშავების გარეშე, ყურძნის დეიონიზირებული კონცენტრატის დამატებით;
- განხორციელდა ჩურჩხელის ფუნქციონალური თვისებების გაუმჯობესება ტექნოლოგიაში კომშის წვენის, ყურძნის კანის და წიპწის ფხვნილის დანამატების ჩართვით.
- რქაწითელის და საფერავის წვენების ფერმენტაციის ჩატარების მიზნით გამოიყო და შეირჩა პრობიოტიკური შტამები. მიმდინარეობს რქაწითელის და საფერავის ფერმენტირებული წვენის ფიტოქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლების დადგენა;
- საფერავის წვენის უალკოჰოლო ფერმენტაციის ექსპერიმენტების ფარგლებში, დადგენილია ალკოჰოლის შემცველობა და მოცემულ პირობებში ფერმენტაციის პროცესის ოპტიმალური პერიოდი;

- მშრალი ხილის წარმოებისთვის განკუთვნილი ჯიშების შერჩევის მიზნით, შესწავლილ და მიღებულ იქნა ალუბლის -3, ბლის -1 და ქლიავის 3 ჯიშის მშრალი ხილი. შემუშავდა ოპტიმალური რეჟიმები, განხორციელდა ნიმუშების ფიზიკური და ძირითადი ტექნოლოგიური მახასიათებლების მიხედვით შეფასება;
- გამოკვლეულია იოგურტის დასამზადებლად საჭირო ნედლი რძის და მშრალი გოჯი ბერის ფიზიკურ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები;
- ლაბორატორიაში შპს „მულტიტესტი“ განსაზღვრულ იქნა გოჯი ბერის დამატებით მიღებული იოგურტის ქიმიური შედგენილობა (%), ენერგეტიკული ღირებულება (კკალ /100გ), და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები;
- ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შემუშავდა მშრალი გოჯი ბერის გამოყენებით იოგურტის დამზადების ტექნოლოგიის რეცეპტურა, ბლოკ-სქემა და ტექნოლოგია;
- შებოლილ სულგუნში კანცეროგენის (3,4 ბენზ ა პირენის) შემცველობის დადგენის მიზნით კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელოს რეგიონებში განხორციელდა ტრადიციული წესით სულგუნის კვერეულების სხვადასხვა ხე-მცენარეების მერქნის ბოლით შებოლვა;
- საცდელ ნიმუშებში კანცეროგენის რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენის მიზნით ლაბორატორიული გამოკვლევები მიმდინარეობს ლატვიის რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ იოგურტის წარმოებაში მშრალი გოჯი ბერის გამოყენება პირველად განხორციელდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის მიერ და კვლავაც მიმდინარეობს კვლევები;



სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების კვლევა:

- დამუშავდა ჩაის ბუჩქების ბრტყლად სასხლავი და ფოთლის საკრეფი მანქანის ტექნოლოგიური სქემა, შედგენილია საავტორო განაცხადი;
- შემუშავდა სამთო პირობებში მარცვლეული კულტურების თანამედროვე სამანქანო მოყვანის ტექნოლოგიური ადაპტორები;
- შედარებულია იაპონური ფირმის და სამამულო ჩაის ხელით საკრეფი აპარატები; დადგენილია აპარატების ეფექტიანობა;
- შეირჩა ჩაის ბუჩქების ბრტყლად სასხლავი და ფოთლის საკრეფი მანქანის გადაცემის მექანიზმები და ძირითადი პარამეტრები;
- ლაბორატორიულ პირობებში გამოიცადა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის მძლავრი ვენტილიატორი, რომელიც წინასწარი შემუშავებული სქემით დამონტაჟებული იყო სასხლავ-საკრეფ აპარატზე;
- დამუშავდა ფულადი სახსრების დანახარჯების საანგარიშო მეთოდიკა და გამოყვანილია ანალიზური საანგარიშო ფორმულა მობილური სატრაქტორო აგრეგატების გართულებულ საექსპლუატაციო პირობებში, კერძოდ სამთო პირობებში მუშაობის დროს;



დნმ მარკერების გამოყენებით ქართული ვაზის ჯიშების იდენტიფიცირება და გენეტიკური მონაცემების ბაზის შექმნა:

- შემდგომი ვეგეტაციის და დნმ-ის საექსტრაქციო მასალის აღების მიზნით, აღებულ იქნა ვაზის 150 ჯიშის რქა;
- ვაზის 60 ჯიშიდან განხორციელდა დნმ-ის ექსტრაქცია და ჩატარდა PCR რეაქციები, მიღებულია 50 სინჯი PCR პროდუქტი;
- დაიწყო მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა მუხის სამიზნე სახეობებზე;
- ვაზის 6 ნიმუშში მოლეკულური PCR მეთოდით განხორციელდა ფიტოპლაზმური დაავადების დადასტურება;

უპირუსო სათესლე და სარგავი მასალის მიღებისა და ჯიშების კონსერვაცია:

- ინ ვიტრო ლაბორატორიაში უწყვეტად მიმდინარეობდა მცენარეთა გამრავლება;
- გამრავლდა გოჯი ბერის 50 მცენარე, ბატატის - 30, ვაზის - 5 და ვაზის საძირის - 5 სინჯარა.
- საცდელი სამუშაოები განხორციელდა საცდელ კულტურებზე, როგორცაა ჩაი, ხეხილის საძირეები, მოცვი და სხვ.
- გამოიცადა თერმოთერაპიის პროტოკოლი სხვადასხვა ჯიშებისთვის, ვაზის შემთხვევაში, ვირუსების აღმოსაფხვრელად;
- კარტოფილის ნაწილის გამრავლება განხორციელდა აპიკალურად დაფესვიანებული ჩითილის მიღების ტექნოლოგიით;
- სულ სათბურში გადაირგო 10000 მდე მცენარე, ხოლო გამრავლდა 1200 მცენარე;
- ლაბორატორიასა და გენ-ბანკში დაცულია 1100 მცენარე კარტოფილის კლონის სახით, ვაზი - 70, გოჯი ბერი - 25, ბატატი -20;



ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პერსპექტიული ფორმების გენეტიკური რესურსების შეგროვება, შესწავლა და გამრავლების ტექნოლოგიის შემუშავება:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ოზურგეთში არსებულ შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათის დიაგნოსტიკის, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ცენტრს „ანასელი“ მიმდინარე 2024 წელს დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა.
- პერმანენტულად მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ადგილობრივი გენოფონდის ჯიშების კოლექციის განახლება მოძიებული ჯიშებით, ფორმებით და ნიმუშებით;
- შემდგომი დაკვირვებისა და შესწავლის მიზნით, ექსპედიციების შედეგად მოძიებული ჩაის ჯიშის „ციმინი“ სადედე ინდივიდები, ფეიჰოას საგვიანო და უხვმოსავლიანი ფორმები განთავსებულ იქნა სუბტროპიკულ საკოლექციო ნაკვეთზე;
- ჩატარდა კივის და ფეიჰოას მცენარეების გასხვლა-ფორმირება;
- ჩათესა ავოკადოს სხვადასხვა ფორმები და დაკალმებულია წაბლის საადრეო ფორმა;
- ვეგეტატიური გამრავლების მიზნით, განხორციელდა ფეიჰოას საადრეო ფორმაზე კალმების აჭრა;
- ტრიფოლიატის საძირებზე განხორციელდა მანდარინის ერთი და ლიმონის ორი ჯიშის მყნობა;
- საკოლექციო ნაკვეთზე დაირგო მანდარინის სუპერ საადრეო ჯიშის მცენარე და პეკანის ნათესარები;
- ჩაის ადგილობრივი ჯიშების საკოლექციო ნარგობა მოიცავს - 6000 ნიმუშს, 4 ადგილობრივ ჯიშსა და ფორმას.



საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მფრინავების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა:

- გაერთიანებული ერების გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის „მეცხოველეობის ფერმის მართვის სისტემის (FMS) ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისები“ ფარგლებში, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების სამსახურის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით მიმდინარეობს საქართველოს კანონზე სანაშენე მეცხოველეობის შესახებ მუშაობა; მუშაობა გრძელდება აღნიშნული დირექტივებისა და რეგულაციების შემუშავებაზე საქართველოს პირობებისათვის.
- ამავე პროექტის ფარგლებში მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე, აშშ-ს, ესტონეთის, შვეიცარიის გამოცდილებაზე მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა საქართველოს მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის საორიენტაციო მოდელი;
- გაერთიანებული ერების გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის „მეცხოველეობის ფერმის მართვის სისტემის (FMS) ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისები“ ფარგლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში შერჩეულ ფერმარში დაიწყო პროგრამის საპილოტე რეჟიმში ამუშავება;
- გრძელდება კვლევები ცენტრის ბაზებზე, მუნიციპალიტეტებსა და ფერმერებზე გადაცემულ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების და პოპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ტიპიურ სულადობებზე, მათი პოტენციალის შეფასების, პირველადი ბოტექნიკური კვლევის, ჯიშური მიკვლევადობის სისტემაში ჩართვის მიზნით;
- ცენტრის შესაბამისი სპეციალისტების ზედამხედველობით, გრძელდება სანაშენე საქმიანობის მეთვალყურეობა და ზედამხედველობა ფერმერულ მეურნეობებში;
- შპს „დმანისის მეცხოველეობის“ ფერმაში სულ შეფასდა: სალერსის ჯიშის 152 სული პირუტყვი, ფური, კურო-მწარმოებელი, უშობელი და დეკეული; ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მეურნეობას მიენიჭა სანაშენე სტატუსი და გაიცა სერტიფიკატი;
- აღდგენილ და გაუმჯობესებული იქნა მეცხოველეობის ადგილობრივი ჯიშები, ფერმერულ მეურნეობებში ამუშავდა ჯიშური მიკვლევადობის სისტემა და სანაშენე საქმიანობა;
- კვლევაში არსებული ინდივიდების რაოდენობამ სულ შეადგინა 5930 სული, მათ შორის სანაშენე ცხოველების რაოდენობა 90 სული;
- წნისის და ბელღეთის საკარმიდამო ფერმერულ მეურნეობაში გრძელდება ქართული მთის ხევსურულ და აჭარულ პოპულაციებზე სანაშენე მუშაობა;
- განხორციელდა კავკასიური წაბლა ჯიშის მობარდუელის ზრდა-განვითარების შესწავლა;
- სანაშენე და პროდუქტიული თვისებების, მათ შორის ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით დმანისში შესწავლილ იქნა სალერსის ჯიშის პირუტყვის - 150 სული და ხობში მეგრული წითელის 50-მდე საქონელი;

- განხორციელდა კავკასიური წაბლა ჯიშის და მეგრული წითელის ფურების საკონტროლო წველა, რძის ნიმუშის აღება და ანალიზი, მონიტორინგი აღწარმოებასა და მოზარდულის გამოზრდაზე, სანაშენე კურაკების გადარჩევა, ექსტერიერის და განვითარების შესწავლა;
- მეგრული წითელ ჯიშზე ჩატარებული საკონტროლო წველადობის საფუძველზე განისაზღვრა მონაწველის რაოდენობა და რძის ქიმიური შემადგენლობა;
- შემდგომი კვლევების მიზნით შერჩეულ იქნა საქართველოს პირობებს მორგებული ინტროდუცირებული ჯიშები;
- შემუშავებულია საკვების შესაბამისი რეცეპტურა მსხვილფეხა პირუტყვისათვის ემისიების შემცირების მიზნით;
- ცენტრის მიერ გამოზრდილ 2 კურომწარმოებლის ფურშილებიდან 8 ფერმაში მოშენებულია 35 სული პირუტყვი მათგან 1 კურო და 34 ფური. მოიგო 30 სულმა.
- საქართველოში მოძიებულია სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპური სულადობა, შესწავლილია და შექმნილია მიკროსასელებეციო ბირთვები და აუქციონის წესით გადაცემულია ფერმერულ მეურნეობას, სადაც გრძელდება ცენტრის შესაბამისი სპეციალისტების ზედამხედველობა და შესაბამისი კვლევები;
- კვლევები გრძელდება ქართული ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი, ცხიმკუდიანი ცხვრის, მათი პროდუქტიულობისა და ზრდა-განვითარების მონიტორინგი;
- განისაზღვრა ქართული ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი, ცხიმკუდიანი ცხვრის მერძეულობა და ჩატარდა ციკნების ზრდა-განვითარებაზე მონიტორინგი;
- ხარისხობრივი შეფასების მიზნით ჩატარებულ იქნა იმერული ცხვრის საგაზაფხულო ბონიტირება, აღებულია განაზომები, გამოთვლილია ინდექსები;
- მოგებულია 5 ნაზმატყლიანი და 7 ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვარი; აწონილია თუშური ჯიშის ცხვრის ნამატი;
- ბატკნის საშემოდგომო პარსვისას აწონილია კანძი (გაჩეჩილი მატყლის ერთი გადახვევა) და შესწავლის მიზნით აღებულია მატყლის ნიმუშები;
- დადგენილ იქნა გადაშენების ზღვარს მისული მეგრული ჯიშის თხის სარძეო პროდუქტიულობა;
- მიღებულია 22 მოგება: მათ შორის ინტროდუცირებულში 6; კახურში - 16 მოგება;
- განხორციელდა დაგოჭიანების აღრიცხვა, ნუმერაცია, მერძეულობის დადგენა, პროდუქტიულობის განსაზღვრა;
- გრძელდება ქათმის, ჩალისფერი ინდაურის და ჭრელი იხვის მეკვერცხული პროდუქტიულობის შესწავლა, მიღებული მასალების ბიომეტრიულად დამუშავება;

- ჩატარდა ადგილობრივი ქათმის მე-5 თაობის და ჭრელი იხვის საშემოდგომო კვერცხდების ინტენსიობის განსაზღვრა და კვერცხის ფიზიკური მაჩვენებლების შესწავლა;
- განისაზღვრა ჯავახური რუხი და ჭრელი ბატის საინკუბაციო კვერცხის ფიზიკური მაჩვენებლები;
- შედგენილია საკვები ულუფები და საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშება ადგილობრივი ქათმის, ჩალისფერი ინდაურის, ჭრელი იხვის და ჯავახური ბატისთვის; გრძელდება მათი მეკვერცხული პროდუქტიულობის და კვერცხის ფიზიკური მაჩვენებლების შესწავლა;
- შედგენილია საშემოდგომო საკვები ულუფები და საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშება ადგილობრივი ქათმის, ჩალისფერი ინდაურის, ჭრელი იხვის და ჯავახური ბატისთვის;
- ცენტრის შესაბამისი სპეციალისტების ზედამხედველობით, ახალციხის მუნიციპალიტეტში გრძელდება მონიტორინგი საცდელ საკალმახე მეურნეობაში. საკალმახე მეურნეობის შემოწმების საფუძველზე, გაგზავნილია დასკვნა კალმახის ჯიშის, ასაკის და რაოდენობის შესახებ;
- შემდგომი დაკვირვების მიზნით: შპს ლოჭინი-98 -ის შერჩეულ საცდელ ტბორში ჩასმულია 3 ჯიშიანი ჰიბრიდული კობრი (ფარიონის ნაჯვარი სარკისებურ კობრთან; თევზის გამოკვების მიზნით კი შეტანილია ქლორელას ხსნარი (300 ლ);
- გატარდა ფუტკრის დაავადებების საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებები; ჩატარებულ იქნა საფუტკრის აღწერა დაზამთრების შედეგების დასადგენად; შევსებულ იქნა სანაშენე ფუტკრის ოჯახების საკვები მარაგი;
- ფუტკრის ოჯახების რაოდენობამ შეადგინა 62. დაკვირვების შედეგად შერჩეულ იქნა სანაშენე ბირთვისათვის საუკეთესო 25 ოჯახი მათი სასარგებლო ნიშან-თვისებების გათვალისწინებით;
- სანაშენე და რეპროდუქტორ ფუტკრის ოჯახებში განხორციელდა ძველი დედა ფუტკრების შეცვლა სანაშენე ბირთვიდან გამოყვანილი 170 განაყოფიერებული დედა ფუტკრით;
- თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის შენარჩუნება - გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა გენოფონდის ჯიშების მომდევნო თაობის გრენის დამზადების სამუშაოები. დამზადდა 65 ჯიშისა და 4 ჯიშთკანდიდატის მომდევნო თაობის გრენა, დაახლოებით 10000 ნადების რაოდენობით, ასევე დაახლოებით 50 გ ჰიბრიდული გრენა; სისხლის განახლება ჩაუტარდა 3 ქართულ ჯიშს;
- გრძელდება დაკვირვებები თუთის აბრეშუმხვევიაზე. კერძოდ, მიკროსკოპულად დაავადებების თუთის აბრეშუმხვევიას ყველა ჯიშიდან აღებული იქნა სინჯი და თერმოსტატში გაცოცხლების შემდეგ გასინჯული იქნა მიკროსკოპულად დაავადებაზე; შერჩეული იქნა 1100 ცალი ჯანსაღი ნადები გრენა.

- დმანისის მუნიციპალიტეტის ბაშკიჩეთის საზაფხულო საძოვრებზე გათიბულია იონჯის ნათესი 5 ჰა-ზე და დამზადებულია 995 იონჯის პრესი.
- ვეტერინარიული კვლევების ფარგლებში, ჩატარდა 48 ნიმუშის ბიომოლეკულური კვლევა, სულ გამოკვლეულია 400-მდე მსხილფეხა რქოსანი პირუტყვი.
- სურსათის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, გაანალიზებულ იქნა ბრუცელოზის გამოვლინის შემთხვევები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში;
- შემუშავდა პირუტყვის რეგიონალური გავრცელებისა და ბრუცელოზით ავადობის მონაცემთა ბაზები;
- სასოფლო სამეურნეო ცხოველთა ბრუცელოზის ეპიზოოტიური სიტუაციის შესწავლის მიზნით 90 ცხოველიდან აღებულია ნიმუშები; გამოვლინდა ბრუცელოზის 3 შემთხვევა;
- დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ექსპედიციების შედეგად აღებულია კოპროლოგიური მასალის 30 გაერთიანებული ნიმუში; გამოკვლეულია 25 ნიმუში, გამოვლენილია სხვადასხვა სახის ჰელმინთური ინვაზიები;
- საქართველოში ტუბერკულოზის მაღალი რისკის რეგიონებში გამოვლენილია 4 დადებითი შემთხვევა;



საქართველოს მასშტაბით, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ცხოველთა ქართული გენოფონდის შესანარჩუნებელი რესურსებს წარმოადგენს:

- ქართული მთის ძროხა - 20 სულ
- კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხა - დმანისი სულ 18 სული,
- აჭარული პოპულაციის ძროხა - 9 სული, კვლევას დაქვემდებარებული კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხა - 55 სული გომარეთის კოოპერატივი „მოურავი“, კოოპერატივის სხვა ფერმებში 200-ზე მეტი; ჯიგრაშენი 47, ალათუბანი 188 სული;
- მეგრული ძროხა - 55 სული;
- კახური ჯიშის ღორი - 132 სულ, ინტროდუცირებული - სულ 63 სული, კვლევას დაქვემდებარებული კახური ჯიშის ღორი - 500-ზე მეტი სული;
- ძროხის დანიური წითელი ჯიში 420 სული (კავთისხევი)
- ძროხის შავჭრელი ჯიში ყვარლის ბაგაში - 1100 სული;
- ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხვარი - 47 სული (26 და 21);
- თუშური ცხვარი - 57 სული; იმერული ცხვარი - 1625 სული;
- მეგრული თხა - 210 სული;
- ჩალისფერი ინდაური - 230 ფრთა;
- ქათამის საკოლექციო გუნდი - 700 (თელავი, ს.ფშაველი და სიმონეთი);
- ჭრელი იხვი - 30 ფრთა;
- ჯავახური ბატი - 150 ფრთა;
- ფარიონისა და სარკისებური კობრის ნაჯვარი თაობა ბიომასით - 160 კგ.
- ფუტკრის ოჯახი - 62;
- თუთის აბრეშუმხვევიას ჯიში - 65 ჯიში.
- სანაშენე ცხოველების რაოდენობა დაბონიტირებული - 152;

აგრარულ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და სფეროში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლება კონსულტაცია:

- საქართველოს მასშტაბით კონსულტაცია გაეწია - 8000-მდე ფერმერსა და დაინტერესებულ პირს;
- სხვადასხვა სახელმწიფო პროექტების, „დანერგე მომავალი“ და სხვ. ფარგლებში ცენტრის მიერ გაცემულია 6000-მდე დასკვნა-რეკომენდაცია;

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“, რომელშიც მონაწილეობას 6 ქვეყნის 80-მდე მეცნიერმა მიიღო.
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, რომელშიც მსოფლიო 14 ქვეყნის 150-მდე მეცნიერმა და კვლევარმა მიიღო მონაწილეობა;

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა:

- 100-მდე თემატური ტრენინგი და ლექცია-სემინარი;
- გამოქვეყნებული და გამოცემულია:
- 11 მონოგრაფია/წიგნი/ბროშურა;
 - 100-მდე სტატია;
 - 700-მდე რეკომენდაცია.